



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2020 წლის ანგარიში
(სასამართლოს ნაწილი)

ე) უარი სამართლიან საჯარო სასამართლოზე

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების არსებობას, რჩება სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევის ინდიკატორები. მოსამართლეები რჩებიან მოწყვლადები შიდა და გარე პოლიტიკური ზეწოლის მიმართ.

სახალხო დამცველის აპარატი, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ და საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობდნენ შეშფოთებას სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით. წლის განმავლობაში ისინი ხაზს უსვამდნენ პრობლემებს, მათ შორის მოსამართლეთა ჯგუფის გავლენას, რომელიც ძირითადად შედგებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და სასამართლოს თავმჯდომარეებისგან, რომლებიც სავარაუდოდ ახშობდნენ კრიტიკულ მოსაზრებებს სასამართლო სისტემაში და ხელს უშლიდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით არსებულ წინადადებებს. არასამთავრობო ორგანიზაციები მოსამართლეთა ამ გავლენიან და არარეფორმისტ ჯგუფს მოიხსენიებენ, როგორც „კლანი“. სხვა პრობლემები, რომლებზეც ისინი აკეთებდნენ აქცენტს მოიცავს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს ძალაუფლების გავლენას ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობაზე, საქმის განაწილების სისტემით მანიპულირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და მოსამართლეთა და სასამართლოთა თავმჯდომარეების დანიშვნის ხარვეზებზე.

სახალხო დამცველის აპარატი, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ და საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობდნენ 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების, რომელსაც არაფორმალურად „სასამართლო რეფორმის მესამე ტალღა“ ეწოდება, ხარვეზებზე მითითებას. მათ აქცენტი გააკეთეს კანონების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ხაზი გაუსვეს სასამართლოს დამოუკიდებლობის გამოწვევებს, მათ შორის, მოსამართლეთა შერჩევის არასწორ პროცესებს სასამართლო სისტემის ყველა დონეზე, სადაც უმეტესობა დანიშნული იქნა უვადოდ, რის გამოც სასამართლო სისტემა გახდა მოწყვლადი პოლიტიკური გავლენების მიმართ.

2019 წლის დეკემბერში პარლამენტმა სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღა“ მიიღო. კანონმდებლობამ გააერთიანა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე მიღებული რიგი მნიშვნელოვანი დებულებები, რაც მიზნად ისახავდა უფრო მეტი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებლობის შექმნას სასამართლო სისტემის ისეთ სფეროებში, როგორც არის სასამართლო დისციპლინა, დანიშვნები და საქმეთა ნაკადის მართვა. თუმცა, კანონმდებლობამ სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევის უფლებამოსილება კვლავ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაუტოვა. არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ეს ძალაუფლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ცალკეულ მოსამართლეებზე გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევდა. არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ ერთ-ერთი ბერკეტი, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარეები საქმის შედეგზე გავლენის მოხდენისათვის იყენებენ არის შედარებით დიდ სასამართლოებში, კოლეგიებში/პალატებში ვიწრო სპეციალიზაციების ფორმირება საქმეთა შემთხვევითი განაწილების პროცესზე მანიპულირების მიზნით. სასამართლოს თავმჯდომარეები, მათი ერთპიროვნული შეხედულებისამებრ, მოსამართლეებს ანაწილებენ ვიწრო სპეციალიზაციებში მკაფიო წესებისა და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების არსებობის გარეშე. სასამართლოს თავმჯდომარეს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობა და შეცვალოს მოსამართლის სპეციალიზაცია. თავმჯდომარეებს კანონმდებლობით არ მოეთხოვებოდათ ასეთი გადაწყვეტილების დასაბუთება.

პრობლემად დარჩა მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანის ხანგრძლივი პრაქტიკა. გადაწყვეტილებებს მოსამართლეთა გადაყვანასთან

დაკავშირებით იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; ამასთან, ეს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს მოსამართლეთა ადმინისტრაციულ პალატებსა და კოლეგიებში, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე, კონკურსის გარეშე მოსამართლეთა გადაყვანის შესახებ ყველაზე სტრატეგიულ და გადატვირთულ სამ სასამართლოში: თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ადმინისტრაციული კოლეგიები/პალატები განიხილავენ საარჩევნო დავებს. ადმინისტრაციულ კოლეგიებში/პალატებში გადაყვანილი მოსამართლეთა უმეტესობა აფილირებული იყო "კლანთან" და თითქმის ყველა მათგანი ასოცირდებოდა წარსულში განხილულ გახმაურებულ საქმეებთან.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ სასამართლოებმა ვერ განახორციელეს საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების ეფექტური შემოწმება 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების დროს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 12 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სასამართლომდე 96 საარჩევნო დავამ მიაღწია. სასამართლოებმა მათი მხოლოდ 16% დააკმაყოფილა.

ერთ შემთხვევაში, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, ისევე როგორც შემდგომში თბილისის სააპელაციო სასამართლომ, უარი თქვა საარჩევნო უბანზე ხმების გაუქმებასა ან განმეორებით ხმის მიცემის ჩატარებაზე ნებართვის გაცემაზე, მას შემდეგ რაც ვიდეო მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ბოლნისში ერთმა პირმა უკანონოდ მისცა ხმა რამოდენიმეჯერ ერთსადაიმავ უბანზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიზანმიმართულად ვერ მოახერხა სასამართლოში საქმეთა ნაკადის პრობლემის მოგვარება, რათა შეენარჩუნებინა მოსამართლეებზე ზემოქმედების ძლიერი ბერკეტი. წარმოებაში არსებული ჭარბი საქმეთა რაოდენობის გამო, მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ მოახერხა საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვა, რისთვისაც ისინი შესაძლოა დაექვემდებარონ დისციპლინურ სამართალწარმოებას. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატის მონაცემების თანახმად, წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებული 60 საჩივრიდან 40 ეხებოდა საქმეთა გაჭიანურებას.

მიუხედავად სასამართლო რეფორმის „ტალღებისა“, კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 23 ივნისს

განაცხადა, „ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის 30-ე წლისთავზე საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა კვლავ ვერ ხერხდება. სამწუხაროდ, დღეს ისევ გვიწევს საუბარი პოლიტიკურად მიკერძოებულ მართლმსაჯულებაზე, სასამართლოში არსებულ პოლიტიკურ ზეგავლენებსა და კორუფციაზე. სასამართლო კვლავაც ვერ ასრულებს სხვა სახელისუფლებო შტოების ბოჭვისა და კონტროლის ფუნქციას, ხოლო მართლმსაჯულება შინაარსობრივად დაშორებულია ადამიანის უფლებების სტანდარტებსა და სამართლიანობას“. კოალიციამ რეფორმების "ტალღების" მარცხში, რომელსაც სასამართლო სისტემისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოეტანა სასამართლო სისტემაში არსებული "**კლანური მმართველობა**" დაადანაშაულა.

კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეთა კონფერენცია არის სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის ორგანო, რომელიც შედგება ქვეყნის სასამართლოების ყველა მოსამართლისგან. 30 ოქტომბერს მოწვეულ კონფერენციაზე, მონაწილეებმა აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი ახალი მოსამართლე წევრი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ გააკრიტიკა სხდომის ჩატარების გადაწყვეტილება საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე და ორი ახალი წევრისა და მდივნის არჩევა. აღინიშნა, რომ კონფერენციის ჩატარების დრო ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლო სისტემაში არსებული **კლანი** არჩევნებამდე ცდილობს მნიშვნელოვანი, სტრატეგიული და გავლენიანი თანამდებობების დაკავებას, რათა მომდევნო 4 წლის ვადით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კლანისადმი მისაღები და ლოიალური კანდიდატები გარანტირებულად იქნენ წარმოდგენილნი.

2019 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესს არეგულირებს. 2019 წლის სექტემბერში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც კრიტიკულად აფასებს განხორციელებულ ცვლილებებს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევ პროცესს. ODIHR-მა დაასკვნა, რომ ცვლილებები არ ითვალისწინებს დია, გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის სისტემას და სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ODIHR-მა გამოავლინა რამდენიმე ხარვეზი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შერჩევის პროცესში და გააკრიტიკა უზენაესი სასამართლოს კანდიდატების ინტერვიუები, როგორც "უადრესად დისფუნქციონალური და არაპროფესიონალური". ასევე აღინიშნა, რომ პროცესის გამჭვირვალობის ნაკლებობამ შესაძლოა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

მე-6 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს ძირითად დებულებებს.

საჯარო მოსმენების ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, რომლის დროსაც უამრავ კანდიდატს გაუჭირდა კვალიფიკაციისა ან დამოუკიდებლობის დემონსტრირება, 2019 წლის დეკემბერში პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ნომინირებული 20 კანდიდატიდან, 14 დანიშნა უზენაეს სასამართლოში უვადოდ. კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის 14 დანიშნულ მოსამართლეს უწოდა **”კლანის ერთგული”**.

2019 წლის ნოემბერში საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ საქმეზე, სახალხო დამცველის აპარატმა ეჭვქვეშ დააყენა უზენაესი სასამართლოს შერჩევის პროცესის მარეგულირებელი ცვლილებების კონსტიტუციურობა, და მიიჩნია, რომ ისინი არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. 30 ივლისს, გაყოფილი ხმებით, 4 ხმით 4 – ის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის აპარატის სარჩელი და მიიჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მირ ჩატარებული შერჩევის პროცესი იყო კონსტიტუციური. სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ დაარღვია გამჭვირვალობის პრინციპი და კიდევ უფრო შეარყია ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ. 16 სექტემბერის სტატიამ, დამოუკიდებელი მედიასაშუალება *Civil.ge* იუწყება: **”30 ივლისის გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მმართველი პარტია ”ქართული ოცნების” მიერ საქართველოს სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისა და შტოს თითქმის სრული აღება”**. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI) 23 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განხადებაში იტყობინება, რომ სასამართლო სისტემა სრულად კონტროლდება მოსამართლეთა ჯგუფის მიერ, რომელსაც **”კლანს”** უწოდებენ.

აპრილიდან მაისამდე პერიოდში, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საკონსტიტუციო სასამართლოში ორი საკამათო მოსამართლე დანიშნა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს გაუმჭვირვალე პროცესი და აღნიშნეს, რომ შერჩევის გადაწყვეტილებები დახურულ კარს მიღმა იქნა მიღებული, კანდიდატების შესახებ ინფორმაცია არ იქნა გაზიარებული დანიშვნამდე და საზოგადოებას არ მიეცა შანსი კანდიდატების მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან მათი შესაბამისობის გამოსახატად.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ დანიშვნების მიმართ საზოგადოების ნდობა მოითხოვს ღია პროცესების ჩატარებას, რაც საზოგადოების მხრიდან აზრის გამოხატვის საშუალებას იძლევა. კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის გამოხატა **”სერიოზული შეშფოთება”**

ზემოაღნიშნული ორი მოსამართლის კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების გამო და მათი დანიშვნა "კლანისადმი" მათ ერთგულებას დაუკავშირა.

ივნისში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ღია კონკურსი 99 ვაკანტურ თანამდებობაზე. 2018 წლის შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გამოუყენებია ღია კონკურსი პირველ ინსტანციასა და სააპელაციო სასამართლოში არსებული ვაკანსიების შესავსებად. 18 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაასრულა კონკურსი მხოლოდ 36 ვაკანტური ადგილის შევსებით. კონკურსის შედეგად, სისტემაში შევიდა 24 ახალი მოსამართლე, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულები იყვნენ. უფრო მეტიც, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ოთხი მოქმედი მოსამართლე გადანიშნა და რვა ყოფილი მოსამართლე დანიშნა. 3 კანდიდატი დანიშნა სააპელაციო სასამართლოებში, რის შემდეგაც კიდევ 10 ვაკანსია დარჩა, ხოლო 33 კანდიდატი დანიშნა პირველ ინსტანციის სასამართლოებში, რის შემდეგაც კიდევ 53 ვაკანსია დარჩა. სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს კანდიდატების დანიშვნის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. წლის ბოლოსთვის ეს არ გაკეთებულა.

30 სექტემბერს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რათა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ შერჩევის პროცესის რამდენიმე ეტაპზე გადაწყვეტილებების დასაბუთების მოთხოვნითა და აგრეთვე ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებით გაუმჯობესებულიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკამათო შერჩევის პროცესი. ქართული ოცნების მმართველმა პარტიამ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას დასკვნის წარმოდგენის თხოვნით მიმართა, თუმცა დაამტკიცა ცვლილებები მანამდე, ვიდრე კომისია დასკვნას წარმოდგენდა. ევროკავშირის წარმომადგენელმა პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც შერჩევის პროცესისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცების დაკარგული შესაძლებლობა. შესწორებული კანონი ამოქმედდა 5 ოქტომბრიდან.

შეიზღუდა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე წვდომა. მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის ივნისის განჩინებისა, რომლის მიხედვითაც პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების ხელმისაწვდომობა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით, პარლამენტმა არ შეასრულა ვალდებულება. სასამართლოებმა გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 1 მაისს შეაჩერეს.

სასამართლოს პროცედურები

კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს სამართლიანი და საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას. სახალხო დამცველის აპარატმა წარმოადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის მრავალი ფაქტი, და არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ეს უფლება არ განხორციელებულა ზოგიერთი გახმაურებული, პოლიტიკურად სენსიტიური საქმეების შემთხვევაში (იხილეთ ქვეთავი - პოლიტიკატიმრები და დაკავებულები ქვემოთ). არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, სასამართლოები არათანმიმდევრულნი იყვნენ მიდგომებში სხდომების დახურვასთან დაკავშირებით და ზოგიერთ შემთხვევაში არ წარმოადგინეს ახსნა თუ რატომ ჩატარდა დახურული სხდომა.

ბრალდებულები უდანაშაულოდ მიიჩნევიან და მათ დაუყოვნებლივ და დეტალურად უნდა ეცნობოს მათთვის წაყენებული ბრალდების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში თავისუფალი ინტერპრეტაციით. ბრალდებულებს უფლება აქვთ დაესწრონ საკუთარ სასამართლო პროცესს და ჰქონდეთ საჯარო სასამართლო განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოების, პირადი ცხოვრებისა და არასრულწლოვანის დაცვას.

კანონი იძლევა ბრალდებულის დაუსწრებლად სასამართლოს განხილვის შესაძლებლობას გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც განსასჯელმა დატოვა ქვეყანა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს სათანადო პროცესის აუცილებელ დებულებებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს დარღვევებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოპასუხის თავისუფლების აღკვეთა.

21 მარტს, პრეზიდენტმა COVID-19 პანდემიის საპასუხოდ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო მდგომარეობის პირობებში შესაძლებელი იყო დისტანციური სასამართლო სხდომების გამართვა ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით. მაისში პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (CPC) შეიტანა ცვლილებები, რათა დაშვებულიყო დისტანციური სისხლის სამართლის სასამართლო სხდომები 15 ივლისამდე. ივლისში შეიტანეს ცვლილებები, რომ დისტანციური სისხლის სამართლის სასამართლო სხდომების ჩატარება დასაშვებია ყოფილიყო 2021 წლის იანვრამდე. დეკემბრის ცვლილებებით დაშვებული იქნა დისტანციური სისხლის სამართლის სასამართლო სხდომების გამართვა 2021 წლის 1 ივლისამდე. დისტანციური სამართალწარმოება არ იყო გამოყენებული მუდმივად. ზოგიერთი მოსამართლე და სასამართლოს მომხმარებელი ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი სახის ვიდეო კონფერენციას სამართალწარმოების პროცესებში. ვიდეო კონფერენციების დროს

ხმისა და სურათის გადაცემის დაბალი ხარისხი, სათანადოდ აღჭურვილი სასამართლო დარბაზების არასაკმარისი რაოდენობა და ვიდეო ოთახების მცირე რაოდენობა დაკავების ადგილებში ართულებდა დისტანციურ სამართალწარმოებას. ამ პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებსაც დიდწილად ეზღუდებოდათ სასამართლო პროცესების მონიტორინგი, და იურისტებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ დისტანციური სასამართლო პროცესები საფრთხეს უქმნიდა ბრალდებულის უფლებას საჯარო სასამართლო მოსმენაზე და ხელს უშლიდა ბრალდებულთან უსაფრთხო, კონფიდენციალურ კომუნიკაციას და მტკიცებულებებზე წვდომას. მათ ასევე აღნიშნეს, რომ დისტანციური სამართალწარმოების პირობებში იქმნებოდა შეფერხებები, რაც გამოიწვეული იყო ტექნიკური სირთულეებითა და მოწმეების დაშინებთ, როდესაც მოწმეები ფიზიკურად იმყოფებოდნენ პოლიციის განყოფილებაში.

კანონი არ აწესებს საქმის გამოძიების მაქსიმალურ პერიოდს, მაგრამ ითვალისწინებს მაქსიმალურ ვადას, ცხრა თვეს, წინასწარი პატიმრობისთვის. თუ სასამართლოები ამ ვადაში არ დაასრულებენ საქმეს, სასამართლო პროცესის დასრულებამდე ბრალდებულები უნდა განთავისუფლდნენ წინასწარი პატიმრობიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 24 თვის განმავლობაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) მოხსენებაში, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2019 წლის მარტიდან თებერვლის ჩათვლით, აღნიშნა, რომ საქმეების დაუსაბუთებელი შეფერხება და სასამართლო განხილვების გაჭიანურება სერიოზული ფაქტორია დროული მართლმსაჯულების უფლების შეზღუდვაში. უწყვეტი სასამართლო განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიერ განხილულ საქმეებში. საიამ ასევე აღნიშნა სასამართლო გადაწყვეტილებების სუსტი დასაბუთებულობა და მოსამართლეთა უუნარობა დაეცვათ წესრიგი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ბევრ შემთხვევაში.

2019 წლის აპრილში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ხშირად გადაიდო, რაც უსაფუძვლოდ სცილდებოდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებს, განსაკუთრებით სააპელაციო სასამართლოებში და პატიმრების მიერ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ საქმეებში. ოფისმა ასევე ხაზი გაუსვა დაუსაბუთებელ შეფერხებებს - ზოგჯერ 5 თვის განმავლობაში - სასამართლოების მიერ მხარეთათვის გადაწყვეტილებების ჩაუბარებლობას და ხარვეზებს კანონმდებლობით დადგენილ განსახილველ

ვადებში სააპელაციო სასამართლოების მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას.

გაჭიანურებული სამართალწარმოების მაგალითები იყო თემურ ბარაბაძისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს გენერალური დირექტორის, ლაშა შანიძის და მისი მამის, შალვას საქმეები. შანიძეები გასამართლდნენ გაფლანგვისთვის 2011 წელს, მას შემდეგ რაც ბარაბაძემ მათ წინააღმდეგ მისცა ჩვენება. მოგვიანებით ბარაბაძემ უარი თქვა ჩვენებაზე, მაგრამ შანიძეების საქმის სასამართლო განხილვა კვლავ ელოდა ბარაბაძის საქმის გადაწყვეტას, ასევე გაფლანგვის ბრალდებით, თუმცა ბარაბაძის საქმის მოსმენა 2017 წლამდე არ დაწყებულა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ის გაამართლა 2018 წელს, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ იგი გაასამართლა უფლებამოსილების გადამეტებისთვის ნაკლებად მძიმე ბრალდებით. 2019 წლის აპრილში პროკურორებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბარაბაძისთვის ნაკლებად მძიმე ბრალდების შესახებ გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში. საქმე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდა წლის ბოლოს.

ბრალდებულებს აქვთ უფლება შეხვდნენ მათ მიერ არჩეულ ადვოკატს დაბრკოლების, ზედამხედველობის ან ზედმეტი შეზღუდვის გარეშე. ბრალდებულებს აქვთ უფლება ჰყავდეთ სახაზინო ადვოკატი, თუ ისინი არიან გადახდისუუნაროები, თუმცა ბევრ ბრალდებულსა და მათ ადვოკატს ყოველთვის არ ჰქონდათ საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად. აპრილში სახალხო დამცველის აპარატმა განაცხადა, რომ 2019 წელს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა გამოიწვია ადვოკატის უფრო ხშირი ჩართვა საქმეში პირველი 24 საათის განმავლობაში.

საია აკვირდებოდა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებს მარტი-ივნისის პერიოდში. საიას ანგარიშის თანახმად, საპროცესო შეთანხმების სასამართლო სხდომებმა, ისევე როგორც წინასასამართლო და არსებითმა განხილვებმა აჩვენა, რომ დაცვის მხარემ ვერ შეძლო ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებთან საგანგებო სახელმწიფო შეზღუდვების გამო. ვირტუალური სასამართლო სხდომების დროს რამდენიმე ადვოკატმა მოითხოვა ნებართვა ბრალდებულთან პირადად ესაუბრა, თუმცა სხდომის მდივანმა განმარტა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულთან საუბრის კონფიდენციალურობას.

სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს უფლება აქვთ მიიღონ პროკურატურის მტკიცებულებები, რომლებიც მათ საქმეს ეხება, წინასასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა და

შეუძლიათ ასლების გაკეთება. ბრალდებულებს უფლება აქვთ დაკითხონ და დაუპირისპირდნენ მათ წინააღმდეგ წარმოდგენილ მოწმეებს და სასამართლოზე წარადგინონ საკუთარი მოწმეები და მტკიცებულებები. ბრალდებულებს უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე ან საკუთარი თავის ინკრიმინაციაზე.

სახალხო დამცველის აპარატმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ ადმინისტრაციულ კოდექსს არ გააჩნდა სათანადო პროცესის უზრუნველყოფელი დებულებები, რადგან კანონი იძლევა საშუალებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენები დაისაჯონ თავისუფლების აღკვეთით სათანადო პროცესის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული პირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს ზოგადად აქვს უფლება გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ეფექტური გასაჩივრება რთულია. კანონის თანახმად, ბრალდებულებს აქვთ 30 დღე განაჩენის გასაჩივრებლად, მას შემდეგ რაც ჩაბარდება სასამართლოს წერილობითი და დასაბუთებული განაჩენი. ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას, უნდა გასაჩივრდეს 48 საათის განმავლობაში, ხოლო სხვა სახდელები 10 დღის განმავლობაში.

22 მაისს, პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რათა შესაბამისობაში მოეყვანა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. შესწორებებმა გაამარტივა ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრება, მათ შორის 15-დღიანი ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრება. ეს ცვლილებები მოჰყვა 2019 წლის ნოემბრის ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, 2019 წლის აპრილის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომელშიც ნათქვამია, რომ მოთხოვნა, რომელიც ადგენს, რომ ბრალდებულმა სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში უნდა გაასაჩივროს, არაკონსტიტუციურია. შესაბამისად, პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და დაუშვა გასაჩივრება მოპასუხის მიერ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. ცვლილებებით ასევე წარმოდგენილ იქნა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც, თუ რიგი გარემოებების გამო შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების მოპასუხისათვის ჩაბარება, იგი გასაჯაროვდება და ჩაითვლება, რომ იგი ბრალდებულს ჩაბარდა გამოქვეყნების მესამე დღეს.

კანონმდებლობის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ საპროცესო შეთანხმება მიღწეულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან უკანონო დაპირების გამოყენების გარეშე და რომ ბრალდებულს ჰქონდა

იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმების დებულებები უზრუნველყოფს სათანადო საპროცესო გარანტიებს. საპროცესო შეთანხმებების მტკიცებულების სტანდარტი ადგენს, რომ მტკიცებულებები უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ მოპასუხე დამნაშავედ იქნას ცნობილი საქმის სრული განხილვის გარეშე და უნდა არწმუნებდეს ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. საიას ანგარიშში, რომელიც მოიცავს 2019 წლის მარტიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდს, აღნიშნულია, რომ მისი დამკვირვებლები დაესწრნენ საპროცესო შეთანხმების 527 სასამართლო სხდომას 558 ბრალდებულის წინააღმდეგ. მხოლოდ 4 შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა სასამართლომ გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების შესახებ. დაკვირვების ქვეშ მყოფ 190 (34%) სასამართლო სხდომაზე, მოსამართლეებმა არასრულად გააცნეს ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული მათი უფლებები. 52 საქმეში (10%) მოსამართლემ არ ჰკითხა ბრალდებულს, დაექვემდებარენ თუ არა ისინი წამებას, ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

2019 წლის ივნისს პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის საფუძველზე, 24 ივნისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებმა მიიღეს არასამართლიანი საპროცესო გარიგებები და ხშირ შემთხვევაში დანაშაული აღიარეს მხოლოდ მათ წინააღმდეგ ხანგრძლივი და შეფერხებული სისხლის სამართლის პროცესის თავიდან ასაცილებლად. ეს ხშირად ხდებოდა, როდესაც ბრალდებულები წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ. საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ვალდებულია შეისწავლოს ბრალდების დასაბუთება, სამართლიანია თუ არა მოთხოვნილი სასჯელი და არსებობს თუ არა მტკიცებულებები ბრალდებულის ბრალეულობის დასადასტურებლად. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა 2019 წლის ივნისის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში.

პოლიტიკური პატიმრები და დაკავებულები

2019 წლის სექტემბრის ერთობლივ განცხადებაში, 16-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა შეშფოთება, როგორც მათ უწოდეს "პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის გამოძიებისა და დევნის გაზრდილი რაოდენობის" შესახებ. მათ მაგალითებად მოიყვანეს აღძრული სისხლის სამართლის საქმე „თიბისი ბანკის“ ორი დამფუძნებლის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმეები ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ყოფილი

დირექტორისა და TV პირველის მფლობელის მამის წინააღმდეგ, და იმ პირთა დაპატიმრების შემთხვევები, რომლებმაც 2019 წლის ივნისში გააპროტესტა რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილების ოკუპაცია, მათ შორის ოპოზიციური პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების ფაქტი.

ოპოზიციური პარტიის წევრებმა და პატიმრების ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებას ჰყავდა პოლიტიკური პატიმრები. 15 მაისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა ევროპული საქართველოს ლიდერი გიგი უგულავა და გამარჯვებული საქართველოს დამფუძნებელი ირაკლი ოქრუაშვილი. ოპოზიციურმა პარტიებმა მათი გათავისუფლება მოითხოვეს მმართველ პარტია ქართულ ოცნებასთან 8 მარტის წინასაარჩევნო შეთანხმების საფუძველზე. ოპოზიციური პარტიები და საერთაშორისო საზოგადოება მიესალმა შეწყალებებს.

ოპოზიცია განაგრძობდა ოპოზიციონერი მოღვაწის, გიორგი რურუას გათავისუფლების მოთხოვნას და ახასიათებდა მას, როგორც პოლიტპატიმარს, რომლის გათავისუფლებაც გათვალისწინებული იყო 8 მარტს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმება საარჩევნო სისტემის ცვლილებების გარდა, შეიცავდა დებულებას, რომ ხელისუფლება პასუხს გასცემდა სასამართლო სისტემაში პოლიტიკური ჩარევების არსებობას. 30 ივლისს რურუას მიესაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა ორი ბრალდებით. 4 აგვისტოს ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა შეშფოთება, რომ რურუას წინააღმდეგ აღძრული საქმე იყო პოლიტიკურად მოტივირებული და განაცხადეს, რომ "პოლიტიკური ნიშნით დევნა განდა იარაღი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და კრიტიკულ მედიასაშუალებებზე ზემოქმედების მიზნით."

მთავრობამ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს ნება დართო, მოინახულონ პირები, რომლებიც თავს პოლიტპატიმრებად ან პოლიტიკური ნიშნით დაკავებულებათ აცხადებენ, და რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ეს გააკეთა.

სამოქალაქო საპროცესო პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

კონსტიტუცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას სამოქალაქო წარმოების საქმეებზე, თუმცა გამოითქვა წუხილი ზოგიერთ გავლენიან მოსამართლეთა მიმართ ერთგულების ნიშნით სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში

განაწილების პროცესთან და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასთან დაკავშირები. კონსტიტუცია და კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ პირი, რომელსაც მიადგა ზიანი თვითნებური პატიმრობის, ან სხვა არაკანონიერი ან თვითნებური ქმედების შედეგად, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგად, უფლება აქვს, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მას შემდეგ, რაც ამოწურავს სახელმწიფოში შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

იყო ცნობები სათანადო პროცესისა და კანონის უზენაესობის პატივისცემის არარსებობის შესახებ საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საქმეებში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე აღნიშნეს რამდენიმე საქმე, სადაც ჯგუფები აცხადებდნენ, რომ მთავრობა არასათანადოდ იყენებდა საგადასახადო გირავნობას ორგანიზაციებზე ზეწოლის მიზნით. მაგალითად, 2019 წლის ივლისში, საკუთრების შეცვლამდე, მაშინდელმა ოპოზიციურად ორიენტირებულმა რუსთავი 2-მა განაცხადა, რომ იგი უსამართლოდ იღევნებოდა გადასახადების გადაუხდელობის გამო, მაშინ, როდესაც სამთავრობო მედია მსგავსი ტიპის შემოწმებას არ ექვემდებარებოდა.

2012 წლიდან მთავრობამ პრიორიტეტად დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECHR) ეროვნული საქმეების რაოდენობის შემცირება. იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ ივლისის მდგომარეობით, ECHR- ში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი იქნა 52 საქმე, ხოლო 2019 წლის მონაცემებით კი მათი რაოდენობა 131 იყო. სამინისტროს ცნობით, 2012 წლიდან სულ 86 საქმე იქნა განხილული მხარეებს შორის მორიგებით, ხოლო 43 გადაწყდა მთავრობის მიერ დარღვევის აღიარებით.

სასამართლოები კვლავ განიცდიან ჭარბ საქმეთა ნაკადს, რის გამოც ვერ მოახერხეს სამოქალაქო საქმეების კანონდებლობით დადგენილ ვადებში განხილვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

COVID-19 პანდემიის გამო საქმეთა განხილვის ჩამორჩენა წლის განმავლობაში გაუარესდა.

სასამართლოებმა მცირე რაოდენობის სამოქალაქო საქმეები განიხილეს დისტანციურად. სასამართლოების მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ის ფაქტი, რომ რესპოდენტი იშვიათად ეთანხმებოდა ელექტრონულ სამართალწარმოებას, ხელს უშლიდა დისტანციური განხილვების სისტემურ გამოყენებას სამოქალაქო საქმეებში.